



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/191

„ 15 „ სექტემბერი 2015 წ.

# გ ა ლ ა ნ უ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

### ზოგიერთი მოსამართლისათვის სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ

„საერთო სასამართლოების სისტემაში სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობის უფლების მქონე თანამდებობის პირთა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №1/163 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობის უფლება მიეცეთ:

ა) თამარ ხაჟომიას, გიორგი ლობჯანიძეს - მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისათვის დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში;

ბ) გენადი მაკარიძეს - ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში;

გ) ნანა ჯანხოთელს - ცაგერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტში;

დ) ანაიტ ოგანესიანს - ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისათვის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში;

ე) დავით გელაშვილს - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისათვის მესტიის მუნიციპალიტეტში.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი